



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – იურიდიული განყოფილების უფროსის გიორგი დიასამიძის და ადამიანური რესურსების მენეჯერის ნათია დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის დირექტორის მიერ (2025 წლის 08 სექტემბრის სენატის სხდომის დადაგენილება, ოქმი №10);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლ(ებ)ის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს წინამდებარე დებულების შემუშავებისას შიდა და გარე ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებებისას ან/და ბუსსს ანრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად
6. დებულების განახლებაზე, მიღებული ცვლილებების შესახებ ბუსსს ანრის თანამშრომლების ინფორმირებაზე და განახლებული დებულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არიან იურიდიული განყოფილების უფროსი და ადამიანური რესურსების მენეჯერი.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation**

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებათა საფუძველი	დამტკიცების თარიღი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
<p>2026 წლის 18 მარტის ცვლილებების ცირკულარული წერილი № 1; 2026 წლის 18 მარტის სენატის დადგენილება, ოქმი №05; ბუსსს ანრის ადამიანური რესურსების მენეჯერის 2026 წლის 17 მარტის მოხსენებითი ბარათი (შემ.რეგ №0009).</p>	<p>18.03.2026</p>	<p>2026 წლის 17 მარტის ბუსსს ანრის ადამიანური რესურსების მენეჯერის ნათია დიასამიძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, 2026 წლის 18 მარტის სენატის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი პერსონალის პირადი საქმის წარმოებიდან „კადრების პირადი აღრიცხვის ფურცელი“-ს ამოღების შესახებ. ადამიანური რესურსების მენეჯერის განმარტებით, აღნიშნულ ფურცელში შესავსები პირადი ინფორმაცია იდენტურია პერსონალის CV - ში ასახული ინფორმაციისა, შესაბამისად ერთი და იგივე შინაარსის დოკუმენტის გაორმაგებული წარმოება არ წარმოადგენს აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, 2026 წლის 18 მარტის სენატის დადგენილებით წარმოებიდან ამოღებულია მფ-02-№086-08-03.01.12 „კადრების პირადი აღრიცხვის ფურცელი“. 2026 წლის 18 მარტს ნდ 2-010104 „პერსონალის მართვის დებულება“-ში შეტანილი შემდეგი ცვლილებები: მე-7 მუხლიდან „ბუსსს ანრის თანამშრომლების პირადი საქმეების მართვა“ ამოღებულია კადრების პირადი აღრიცხვის ფურცელი ამოღებულია დანართი 1.</p>	



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	6
2. ნორმატიული მითითებები	6
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები	7
4. პერსონალის მართვის პოლიტიკა	8
5. პერსონალის მოზიდვა, შერჩევა და მიღება	8
5.1 ადამიანური რესურსის სტრუქტურა	10
5.2 პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, მიღება	13
5.3 მართვის ორგანოებში შერჩევის წესი	16
5.4 საბუთების მიღების პროცედურა	17
5.5 მოთხოვნები კვალიფიკაციისადმი	19
6. პერსონალის მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და განვითარება	20
6.1 ზოგადი დებულება	20
6.2 პერსონალის სტაჟირება	21
6.3 ბუსსს ანრის პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნება და ამაღლება	23
7. ბუსსს ანრის თანამშრომლების პირადი საქმეების მართვა	24
8. ბუსსს ანრის თანამშრომლის საორიენტაციო პროგრამა	25
9. ბუსსს ანრის პერსონალის შეფასების მექანიზმები	26
10. პერსონალის მოტივაციის სისტემა	35
11. დისციპლინარული ღონისძიებები	38
12. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონფიდენციალურობა	39
12.1 ძირითადი დებულება	39
12.2 თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გამოყენებაზე დადების წესი	40
12.3 მონაცემთა შეგროვება	40
12.4 პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადა	41
12.5 საჯარო ინტერესი	41
12.6 ვიდეო კონტროლი	41
12.7 ბიომეტრიული მონაცემების გამოყენება	41
12.8 დოკუმენტთა პოლიტიკა, წვდომა და კონტროლი	42
12.9 მონაცემთა უსაფრთხოება	42
12.10 პასუხისმგებლობა და კანონდარღვევა	42
13. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი	42
დანართი 1. ინსტრუქტაჟის ჩატარების ცნობა	43
დანართი 2. სტაჟირების ფურცელი	44
დანართი 3. დახასიათება-გამოძახილი	45
დანართი 4. საატესტაციო ფურცელი	46
დანართი 5. ტექ.სწავლების, საინფორმაციო შეხვედრების, წვრთნების გეგმა-გრაფიკი	47
დანართი 6. ატესტაციის ჩატარების გეგმა	48



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება

Personnel Management Regulation

დანართი 7. შეფასების ფორმა დამხმარე პერსონალისთვის	49
დანართი 8. საორიენტაციო შეხვედრაზე დასწრების ოქმის ფორმა	50
დანართი 9. პროფესიული განვითარების გეგმის ნიმუში	51
დანართი 10. საოფისე კომპიუტერული პროგრამის ცოდნის შემოწმების ფურცელი	52
12. პერიოდული შემოწმების ფურცელი	53
13. პერსონალის გაცნობის ფურცელი	54
14. შეთანხმების ფურცელი	58



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება Personnel Management Regulation

1. გავრცელების სფერო

- 1) ბუსსს ანრის პერსონალის მართვის დებულება განსაზღვრავს პერსონალის მართვის პოლიტიკას, ვრცელდება სამსახურში მიღების მიმდევრობაზე, სისტემატურ მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ბუსსს ანრის მიზნების, ამოცანების, პოლიტიკის და ფუნქციების მოთხოვნების შესრულებაზე. პერსონალის მართვის დებულება წარმოადგენს კვალიფიციური პერსონალის შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების საფუძველს და აერთიანებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს, რათა დასაქმებულმა პირებმა თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები.
- 2) წინამდებარე დებულება წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტებს ბუსსს ანრის მთელი პერსონალისთვის (მათ შორის საშტატო და მოწვეული თანამშრომელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორი).
- 3) დებულების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც მყარი, ასევე ელ. ვერსია); ელ. ვერსია განთავსებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებ-გვერდზე.

2. ნორმატიული მითითებები

წინამდებარე დებულების შემუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

- 1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
- 2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) საქართველოს შრომის კოდექსი, ცვლილებებით;
- 4) საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის ბრძანებულება N 414 „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“;
- 5) საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“;
- 6) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- 7) პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტები;
- 8) თანამშრომლების ფუნქციონალური მოვალეობები/თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- 9) ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო;
- 10) ნდ N2-0201-01 „დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის დებულება“.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულია ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები, რომლებიც მოყვანილია ხარისხის სახელმძღვანელოში და აგრეთვე ნორმატიულ დოკუმენტებში, რომელთა საფუძველზეც შემუშავებულია დებულება.

წინამდებარე დებულებაში გამოყენებული ყველაზე უფრო მახასიათებელი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები მოყვანილია ქვემოთ.

3.1 ტერმინები და განმარტებები

- 1) **დარგის სპეციალისტი** - მეზღვაური, ან სხვა პერსონალი, რომელიც თავისი საქმიანობით დაკავშირებულია საზღვაო სფეროსთან;
- 2) **დოკუმენტის საკონტროლო ეგზემპლარი** - განსაზღვრული ქვედანაყოფის აღრიცხული ეგზემპლარის ნომრის მქონე ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნია გრიფი „საკონტროლოდა შეიცავს ყველა არსებულ ცვლილებას“;
- 3) **პროცედურა** - მუშაობის / მომსახურების განხორციელების დოკუმენტალურად დადგენილი საშუალება;
- 4) **ნორმატიული დოკუმენტი** - სხვადასხვა სახის საქმიანობისა ან მათი შედეგების წესების საერთო პრინციპების ან დახასიათების დამდგენელი დოკუმენტი;
- 5) **პერსონალი** - ბუსსს ანრის საშტატო თანამშრომლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორები, სხვა მოწვეული პერსონალი;
- 6) **რიგითი ატესტაცია** - დაგეგმილი შემოწმება, რომელიც უტარდება თანამშრომლებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, საწვრთნელი კურსების ინსტრუქტორებს 3 წელიწადში ერთხელ; მათ მიერ დაკავებული პოზიციის შესაბამისობის დასადგენად;
- 7) **რიგგარეშე ატესტაცია** - არაგეგმიური ატესტაცია, რომელიც ტარდება დირექტორის ბრძანებით არასაატესტაციო პერიოდში;
- 8) **სტაჟირების ხელმძღვანელი** - თანამდებობის პირი, რომელიც ახდენს სტაჟირების მოქმედებათა ორგანიზებასა და კონტროლს;
- 9) **ქვორუმი** - საატესტაციო კომისიაზე მინიმალური დამსწრეების არსებობა საატესტაციო (კომისიის წევრების რიცხვიდან არა ნაკლებ 2/3 დასწრება);
- 10) **ცვლილება** - ნორმატიული დოკუმენტის განსაზღვრული ფრაგმენტის მოდიფიკაცია, დამატება ან გამოკლება.

3.2 შემოკლებები

- 1) **ბუსსს ანრი (სასწავლებელი)** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
- 2) **საზღვაო სააგენტო** - სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
- 3) **ნდ-ნორმატიული დოკუმენტი**;
- 4) **ხმს** - ხარისხის მართვის სისტემა



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება Personnel Management Regulation

4. პერსონალის მართვის პოლიტიკა

პერსონალი ორგანიზაციაში წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს, რადგან ბუსსს ანრის თითოეული თანამშრომელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწავლებლის მიზნების მიღწევაში, სწავლებისა და წვრთნების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაში.

ბუსსს ანრის დასაქმების პოლიტიკის უმთავრესი პრინციპია კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, განვითარება, წახალისება, შენარჩუნება და მათი შესაძლებლობებისა და გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენება. პროდუქტიული სამუშაო გარემოს, სამართლიანი და ეთიკური სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება.

ბუსსს ანრის პერსონალის მართვის პოლიტიკა დაფუძნებულია პროფესიული უნარების, სამართლიანობისა და კონკურენტულობის წახალისების პრინციპებზე. ბუსსს ანრიში შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვა და დასაქმება დაცულია ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპით. პოლიტიკის მიზანია თანამშრომლებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ პროდუქტიულობას და მაღალი შედეგების მიღწევას, გამორიცხავს ნეგოტიზმსა (მეგობრებისა და ნათესავებისათვის განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭება მათი დამსახურების მიუხედავად) და კლიენტიზმს (პროფესიული დაწინაურება ან/და განვითარება მისგან მხარდაჭერის მიღების მიზნით). პერსონალის მართვის პრინციპები ხელს უწყობს სასწავლებლის თითოეულ თანამშრომელს საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებაში; უზრუნველყოფს სასწავლებლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლინებას; სასწავლებლის პერსონალის საქმიანობის სუსტი მხარეების წარმოჩენას და მათ აღმოფხვრას.

5. პერსონალის მოზიდვა, შერჩევა და მიღება

ბუსსს ანრიში კვალიფიცირებული კადრების მოზიდვა და დასაქმება მიმდინარეობს ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა შეესაბამება სასწავლებლის მისიას, ღირებულებებსა და ძირითად მიზნებს.

ბუსსს ანრის ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიზნებია:

- ✓ სასწავლებელში მაღალკვალიფიციური პერსონალის შერჩევა, დასაქმება და შენარჩუნება;
- ✓ ეფექტური პერსონალის მართვის პოლიტიკის მეშვეობით, დაწესებულების ადმინისტრაციული საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელება;
- ✓ სასწავლებელში დასაქმებულთა მოტივაციის, თვითრეალიზების, მოტივირებული და ნაყოფიერი საქმიანობის უზრუნველყოფა;
- ✓ დასაქმებული პირების მუდმივი პროფესიული ზრდა და განვითარების ხელშეწყობა.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება

Personnel Management Regulation

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება ისეთი ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს, როგორცაა: თანასწორობა, კეთილსინდისიერება, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, თანაბარი შესაძლებლობები, გამჭვირვალობა, უფლების მართლზომიერად გამოყენება, პროფესიული განვითარება.

თანამშრომლების შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კომპეტენციებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს ბუსსს ანრის უკლებლივ ყველა თანამშრომელი. კერძოდ:

- ✓ განვითარებაზე და შედეგზე ორიენტაცია;
- ✓ სიახლეებისადმი ღიაობა;
- ✓ პროფესიონალიზმი;
- ✓ შრომისმოყვარეობა
- ✓ გუნდური მუშაობა;
- ✓ პასუხისმგებლობა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პროცედურები და წესები ეყრდნობა დემინგის მუდმივი გაუმჯობესებების ციკლს (**Plan-Do-Check-Act, PDCA**).



ბუსსს ანრის ძირითადი მიდგომები დასაქმებულებთან მიმართებაში, შემდეგია:

- ✓ დასაქმებულებისთვის უფლებებისა და თავისუფლების განხორციელებაში ხელშეწყობა, მესამე პირებთან ურთიერთობისას დასაქმებულთა ინტერესების დაცვა;
- ✓ დასაქმებულთა მუშაობის პირობების განსაზღვრა და სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ✓ სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება, მუშაობის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლება;
- ✓ შრომის სამართლიანი ანაზღაურება;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება Personnel Management Regulation

- ✓ დისკრიმინაციის აკრძალვა;
- ✓ დასაქმებულთათვის უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობების შექმნა;
- ✓ სამსახურში ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა, როგორც კოლეგების ისე, პროფესიული სტუდენტებისა და ბუსსს ანრის პარტნიორის მიმართ.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ორგანიზაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მენეჯერი, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ბუსსს ანრის შინაგანაწესით, პერსონალის მართვის დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

5.1 ადამიანური რესურსის სტრუქტურა

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ადამიანური რესურსი შედგება შემდეგი პერსონალისგან:

- I. ადმინისტრაციული პერსონალი;
- II. მოწვეული პერსონალი: პროფესიული განათლების მასწავლებელი, საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორი, დარგის სპეციალისტი;
- III. დამხმარე (ტექნიკური) პერსონალი (სამტატო თანამშრომლები).

რომელიც თავის მხრივ იყოფა სამ რგოლად:

- ❖ **სასწავლებლის მმართველი / ზედა რგოლი - ადმინისტრაცია**
წარმოდგენილია შემდეგი სახით:
 - ❖ პარტნიორთა კრება (დამფუძნებელი)
 - ❖ სენატი
 - ❖ დირექტორი
 - ❖ ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური
- ❖ **საშუალო რგოლი:** დირექტორის დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები
 - საფინანსო განყოფილების უფროსი
 - ადამიანური რესურსების მენეჯერი
 - პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილების უფროსი
 - ბიბლიოთეკის უფროსი
 - შესყიდვების და სამეურნეო განყოფილების უფროსი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation

- მეზღვაურთა წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრის უფროსი
- საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი
- იურიდიული განყოფილების უფროსი
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი
- პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი
- პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი
- სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების უფროსი
- სასწავლო გემის კაპიტანი
- ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი

❖ **ქვედა რგოლი:** სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები.

სასწავლებლის მართვის ორგანოები:

✿ **მმართველი რგოლი/ადმინისტრაცია,** რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლებლის სტრატეგიულ და ოპერაციულ მმართველობას:

- **პარტნიორთა კრება (დამფუძნებელი)** - შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის უმაღლესი მართვის ორგანო.
- **სენატი** - შპს ბათუმის საზღვაო სასწავლებელი ანრის პროფესიულ საგანმანათლებლო და საწვრთნელ პროცესებთან დაკავშირებული უმაღლესი წარმომადგენლობითი კოლეგიალური მართვის ორგანო, სამეთვალყურეო საბჭო, რომლის გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა სასწავლებლის ყველა თანამშრომლისთვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის.
- **დირექტორი** - შპს ბათუმის საზღვაო სასწავლებელი ანრის ხელმძღვანელი, რომელიც გარდა სასწავლებლის ხელმძღვანელობისა, ძირითადად პასუხისმგებელია ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მმართველობაზე და სასწავლებლის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე.
- **ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური** - წარმართავს სასწავლებელში მიმდინარე სწავლა/სწავლებისა და საწვრთნელი საქმიანობის ხარისხის მართვის საკითებს, რისთვისაც შეიმუშავებს პროცესების ხარისხის შეფასების მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს მათ დანერგვასა და შეფასებას. გარდა აღნიშნული საქმიანობისა, სამსახური ახორციელებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს და უზრუნველყოფს სამუშაოთა კოორდინაციას სასწავლებლის ავტორიზაციის პროცესებში. ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური ასევე უზრუნველყოფს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებთან შესაბამისობას.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation

❖ **სასწავლებლის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები:**

- პროფესიული განათლების დეპარტამენტი - დეპარტამენტის მიზანია მეზღვაურთა რიგითი შემადგენლობის მომზადება პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებით.
- მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი - მოქმედი და დამწყები მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების კურსები „მეზღვაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“, ცვლილებებით (STCW, as amended) საერთაშორისო კონვენციის და მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

❖ **დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები**

უზრუნველყოფენ სწავლა/სწავლისთვისა და საწვრთნელი პროცესების მხარდაჭერას, პროფესიული სტუდენტებისა და სასწავლებლის საზოგადოების მოთხოვნებზე მორგებული სერვისებისა და შემოქმედებითი აქტივობების განხორციელება/განვითარებას, აგრეთვე ინფორმაციის, ადამიანური და მატერიალური რესურსების, ინფრასტრუქტურის მართვასა და განვითარებას.

სასწავლებლის სტრუქტურაში შედის სწავლა/სწავლებისა და წვრთნის პროცესების დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- პროფესიულ სტუდენტთა, მსმნელეთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილება
- საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება
- საფინასო განყოფილება
- იურიდიული განყოფილება
- ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილება
- პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება
- შესყიდვების და სამეურნეო განყოფილება
- სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების განყოფილება,
- მცურავი საშუალებები (ს/გ „კაპ.ო. ჩახვაძე“, სამაშველო და სწრაფმავალი კატარღები)
- არქივი
- ბიბლიოთეკა
- სამედიცინო პუნქტი
- საერთო საცხოვრებელი




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება Personnel Management Regulation

სასწავლებლის პერსონალის საქმიანობას აწესრიგებს საქართველოს კანონმდებლობა (შრომის კოდექსი), სასწავლებლის შინაგანაწესი, ფუნქციონალური სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, თანამდებობრივი ინსტრუქციები/ფუნქციონალური მოვალეობები. პერსონალის შრომითი ურთიერთობები, მათ შორის თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე და სხვა რეგულირდება სასწავლებელთან დადებული შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებით.

5.2 პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, მიღება

5.2.1 თანამშრომლის სამუშაოდ მიღების თანმიმდევრობის სქემა



- 1) სასწავლებელში თანამშრომლები მუშაობენ სრულ ან არასრულ სამუშაო განაკვეთზე.
- 2) სასწავლებელში თანამშრომელს შეიძლება ჰქონდეს ორი ძირითადი სტატუსი:
 - შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირი;
 - მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების გამწვევი პირი.
- 3) საჭიროების შემთხვევაში ადამიანური რესურსების მენეჯერი აინიცირებს საშტატო განრიგის ცვლილებებს და გეგმავს შერჩევის პროცესს. მენეჯერი უზრუნველყოფს ვაკანტური პოზიციისათვის პერსონალის მოძიებას დადგენილი პროცედურის შესაბამისად;
- 4) საბოლოო საშტატო განრიგს ამტკიცებს დირექტორი;
- 5) თანამშრომლის შერჩევა ხდება კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.
- 6) სამსახურში მიღებისას, თანამშრომელს ასევე ეძლევა გაფრთხილება კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე მას მიეწოდება ინფორმაცია ბუსსს ანრის შინაგანაწესის, გამოცხადებული პოზიციის ფუნქციონალური მოვალეობის, განყოფილების დებულების და ეთიკის კოდექსის სახით.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation

- 7) თანამშრომლის სამსახურში მიღებისას ან სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას ადამიანური რესურსების მენეჯერი ვალდებულია:
- ა. თანამშრომელს გააცნოს თანამდებობრივი ინსტრუქცია და მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და
 - ბ. გააცნოს მას ბუხსს ანრის შინაგანაწესი, მისია და სტრატეგიული გეგმა, ასევე, სასწავლებელში მუშაობის რეჟიმი და მოცემულ სტრუქტურულ ქვედანაყოფში დღის სამუშაო განრიგი, რომელთა დაცვა მისთვის აუცილებელია. აღნიშნული ინფორმაციის მიღების და გაცნობის ფაქტი უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.
- 8) პერსონალს სამსახურში დებულობს და ათავისფლებს დირექტორი.
- 9) პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და დასაქმების მიზნით, სასწავლებელი, როგორც წესი, აცხადებს ვაკანსიას შესაბამის პოზიციაზე, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, პერსონალის აყვანა ხდება მსგავს სასწავლებელთან მათი წარსული თანამშრომლობის საფუძველზეც, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და შესაბამის პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების გათვალისწინებით.

5.2.2 ვაკანსიის გამოცხადების წესი:

I. საშტატო პერსონალის (ზედა, საშუალო და ქვედა რგოლი) ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, ვაკანსიის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავდაპირველად დგინდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები - ეს მოთხოვნები თანხმდება კონკრეტულ სამსახურთან/სტრუქტურულ ერთეულთან, რომლისთვისაც ვაკანსია უნდა გამოცხადდეს. ვაკანსიის განაცხადის განთავსება ხდება როგორც სასწავლებლის საინფორმაციო სივრცეში (სასწავლებლის ვებ-გვერდზე, სოც.ქსელში), ასევე დასაქმების გამავრცელებელ სხვა საინფორმაციო გვერდზეც (მაგალითად: www.jobs.ge; www.hr.ge).

კანდიდატების შერჩევის პროცესი შეიძლება განსხვავდებოდეს გამოცხადებული ვაკანსიის სპეციფიკიდან და საკონკურსო ეტაპებიდან გამომდინარე.

თითოეულ გამოცხადებულ ვაკანსიაზე, კანდიდატის შერჩევის პროცესი მოიცავს ორ ეტაპს:

- 1) პირველადი გადარჩევა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით;
- 2) გასაუბრება

თავდაპირველად ხდება კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. შემოსულ კანდიდატთა სია ექვემდებარება შემცირებას წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევის შედეგად, რომელიც შესაძლებელია ორ ეტაპად განხორციელდეს. პირველ ეტაპზე ხდება იმ კანდიდატთა გადარჩევა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation**

იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატების უმრავლესობა აკმაყოფილებს სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მეორე ეტაპზე ხდება მხოლოდ იმ კანდიდატთა შერჩევა, რომლებიც ასევე აკმაყოფილებენ სხვა დამატებით მოთხოვნებს. კანდიდატების შერჩევას დაუშვებელია ყოველგვარი სახის დისკრიმინაცია. კომისიის კომენტარების საფუძველზე (კომისიის კომენტარების ფურცელი) ადამიანური რესურსების მენეჯერი არჩევს კანდიდატებს მე-2 ეტაპისთვის და იწვევს მათ გასაუბრებისთვის (გასაუბრების კითხვარის ფორმა).

შერჩევის სხვადასხვა ეტაპი უზრუნველყოფს წარმოდგენილი კანდიდატების შეფასებას სხვადასხვა ჭრილში და ხელს უწყობს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას. გასაუბრება შერჩევის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. გასაუბრების მიზანია შეზღუდული დროის პირობებში მაქსიმალურად სრულფასოვანი ინფორმაციის მიღება კანდიდატის შესაძლებლობების შესახებ. ეფექტური გასაუბრების ჩასატარებლად საჭიროა მისი დეტალურად დაგეგმვა. გასაუბრების შედეგად შერჩეულ კანდიდატთან იდება შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით, არანაკლებ 1 და არაუმეტეს 6 თვისა.

II. მოწვეული პერსონალის (პროფესიული განათლების მასწავლებელი, საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორი) შერჩევის პროცესი

II (ა) პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევა ხდება როგორც კონკურსის წესით, ასევე რეკომენდაციების, CV-ის, პროფესიული უნარ-ჩვევების, პრაქტიკის, კვალიფიკაციისა და საგნის ხედვის გათვალისწინებით. მასწავლებლის აპრობირებული მეთოდია პროფესიული განათლების მასწავლებელმა ჩაატაროს საჩვენებელი / ღია ლექცია.

- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლის საჩვენებელ/ღია ლექციას ესწრება პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელები, ადამიანური რესურსების მენეჯერი. დასაშვებია პროცესის მონიტორინგის მიზნით საჩვენებელ/ღია ლექციას დაესწროს ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ღია ლექციის წარმატებით ჩატარების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელთან იდება შრომითი ხელშეკრულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების ხანგრძლივობის შესაბამისად.

II (ბ) საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორის შერჩევა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება Personnel Management Regulation

- 1) ინსტრუქტორად აყვანის მსურველი პირი მიმართავს განცხადებით სასწავლებლის დირექტორს, განხილულ იქნას მისი კანდიდატურა ინსტრუქტორად აყვანის მიზნით;
- 2) ინსტრუქტორად აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს „საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოული მონიტორინგის წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის №05 ბრძანებით (მასში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია, რასაც ამოწმებს ადამიანური რესურსების მენეჯერი, განცხადების საფუძველზე.
- 3) თუ კანდიდატის კვალიფიკაცია და კომპეტენცია შესაბამისობაშია სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის №05 ბრძანების (მასში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) მოთხოვნებთან, დირექტორი ბრძანებით ის იგზავნება შესაბამის საწვრთნელ დაწესებულებაში ინსტრუქტორისთვის სავალდებულო ტრენინგ(ებ)ის გასავლელად, სასწავლებლის დაფინანსებით.
- 4) ინსტრუქტორისთვის სავალდებულო ტრენინგ(ებ)ის სერტიფიკატების წარმოდგენის შემდეგ ადამიანური რესურსების მენეჯერი ინსტრუქტორის კომპეტენციის და კვალიფიკაციის დოკუმენტაციას ტვირთავს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დოკუმენტმართვის სისტემის ელექტრონულ მოდულში აღიარების დასადასტურებლად.
- 5) სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ინსტრუქტორის კანდიდატურის დადასტურების შემდეგ ინსტრუქტორთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

5.3 მართვის ორგანოებში შერჩევის წესი

მართვის ორგანოებში შერჩევის წესის მიზანია სასწავლებლის მართვის ორგანოებში შერჩევა მოხდეს გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპების დაცვით.

5.3.1 სასწავლებლის მმართველი რგოლის განსაზღვრა

სასწავლებლის მართვის ორგანოებია / სუბიექტებია:

1) პარტნიორთა კრება

უფლება-მოვალეობები განისაზღვრება კომპანიის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით. პარტნიორთა კრება ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის დირექტორს და მასზე ახდენს სასწავლებლის მართვის დელეგირებას.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation**

2) დირექტორი

დირექტორის პოზიცია შესაძლოა დაიკავოს, როგორც სასწავლებლის დამფუძნებელმა, ასევე მოწვეულმა პირმა, რომლის მიმართაც დგინდება შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მოწვეული პირის შემთხვევაში იგი ვალდებულია ინსტიტუციის განვითარების ხედვით წარსდგეს შპს - ს პარტნიორთა კრების წინაშე.

3) სენატი

შპს ბათუმის საზღვაო სასწავლებელი ანრის პროფესიულ საგანმანათლებლო და საწვრთნელ პროცესებთან დაკავშირებული უმაღლესი წარმომადგენლობითი კოლეგიალური მართვის ორგანო, სამეთვალყურეო საბჭო, რომლის გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა სასწავლებლის ყველა თანამშრომლისთვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის. სენატის არჩევის წესი განსაზღვრულია ნდ 2-010109 დებულებით.

4) ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის დირექტორი. ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიმართ დგინდება შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (კანდიდატი) ვალდებულია წარადგინოს საკუთარი ხედვა სამომავლო საქმიანობის შესახებ.

5.4 საბუთების მიღების პროცედურა

5.4.1. პერსონალის მიღების პროცესი და დოკუმენტების გაფორმება მიმდინარეობს საქართველოს შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე.

5.4.2. სამსახურში მიღების კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- 1) განცხადება დირექტორის სახელზე;
- 2) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი ორიგინალი/დედანი (დიპლომი, კვალიფიკაციის ამაღლების დოკუმენტი და ა.შ.), რომლის ასლ(ებ)ი გადაიღება ადამიანური რესურსების მენეჯერის მიერ და ორიგინალი/დედანი უბრუნდება მფლობელს;
- 3) უცხო ენაზე გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს აღიარებული საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation

- 4) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ
 - 5) უფლების ჩამორთმევის შესახებ
 - 6) CV
 - 7) დახასიათება (არსებობის შემთხვევაში)
 - 8) ფოტოსურათი (3X4)
- 5.4.3.** შერჩეული/მოწონებული პირი დირექტორის ბრძანებით ინიშნება პოზიციაზე არანაკლებ 1 და არა უმეტეს 6 თვის გამოსაცდელი ვადით, ან სტაჟირებაზე.
- 5.4.4.** გამოსაცდელი ვადით პირის მიღების გადაწყვეტილებას ადასტურებს დირექტორი, კანდიდატისგან შემოსულ განცხადებაზე რეზოლუციაში ვადის მითითებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
- 5.4.5.** კანდიდატის შერჩევის შემდეგ, მისი გამოცდილების სპეციფიკიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, გამოსაცდელი ვადის ნაცვლად გაივლის 1 თვიან სტაჟირებას (სრულად იხ. დებულების 6.2 ქვეტავი: პერსონალის სტაჟირება) (მენტორთან/სტაჟირების ხელმძღვანელთან, რომელსაც დანიშნავს დირექტორი). სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში ინიშნება განსაზღვრულ თანამდებობაზე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
- 5.4.6.** სტაჟირების არ/ვერ გავლის შემთხვევაში, დირექტორის განკარგულებით/ბრძანებით, სტაჟირორი არ ინიშნება თანამდებობაზე ან უგრძელდება სტაჟირების ვადა.
- 5.4.7.** ადამიანური რესურსების მენეჯერი კანდიდატს წიანსწარ აცნობს სტაჟირების პირობებს.
- 5.4.8.** თუ წარმოდგენილ კანდიდატს გააჩნია ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება, ცოდნა, დირექტორის ბრძანებით, გამოსაცდელი ვადისა და სტაჟირების გარეშე ინიშნება განსაზღვრულ თანამდებობაზე.
- 5.4.9.** ბუსსს ანრიში მიღებულ პერსონალს, სტაჟირორებს უტარდება შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი (ცნობის ნიმუში იხ. **დანართი 2**), ადამიანური რესურსების მენეჯერი აცნობს მათ შიდა ნორმატიულ ბაზას. ნორმატიული დოკუმენტების გაცნობა დასტურდება პერსონალის მიერ ამა თუ იმ შიდა ნორმატიული დოკუმენტის გაცნობის ფურცელზე ხელმოწერით.
- 5.4.10.** ახალი თანამშრომლებისთვის გათვალისიწნებულია საორიენტაციოს პროგრამა (იხ. დებულების მე-8 თავი).

5.5 მოთხოვნები კვალიფიკაციისადმი

- 1) ბუსსს ანრის თანამშრომელთა პირადი და კვალიფიციური მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს პერსონალის მომზადების რეკომენდაციებს/მოთხოვნებს.
- 2) ყოველი თანამდებობისათვის ბუსსს ანრის დირექტორი განსაზღვრავს პერსონალის შერჩევისა და ცოდნის კრიტერიუმებს (თანამდებობის პროფილს) შემდეგის საფუძველზე:
 - ✓ შპს ბუსსს ანრის წესდება



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება Personnel Management Regulation

- ✓ ფუნქციონალური მოვალეობები/თანამდებობრივი ინსტრუქცია
 - ✓ ბუსსს ანრის ორგანიზაციული სტრუქტურა/სქემა
 - ✓ ბუსსს ანრის ფუნქციონალური სტრუქტურა
- 3) პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის მოთხოვნები განისაზღვრება პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით.
- 4) საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მოთხოვნები განისაზღვრება „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის 48 1 მუხლით „მინიმალური მოთხოვნები საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების ინსტრუქტორის, ზედამხედველისა და შემფასებლის მიმართ“ და „საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის №05 ბრძანებით (მასში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით).

5.6. პერსონალის ფუნქციონალური მოვალეობები/სამუშაო აღწერილობა

- 1) ბუსსს ანრის დასაქმებული პერსონალის ფუნქციონალური მოვალეობები/სამუშაო აღწერილობა წარმოადგენს ბუსსს ანრში ადამიანური რესურსების დაგეგმვის, ახალი თანამშრომლის შერჩევა-დაქირავების, ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაციის, თანამშრომელთა შეფასებისა და მოტივირების საფუძველს.
- 2) ხელშეკრულების გაფორმებამდე განისაზღვრება შესასრულებელი ფუნქციონალური მოვალეობები/სამუშაო აღწერილობა, შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სამუშაო აღწერილობა სრულად ეცნობება პოტენციურ დასაქმებულ/მომსახურების გამწევს ხელშეკრულების გაფორმებამდე. ამასთან, იგი დაერთვება ხელშეკრულებას და მიიჩნევა მის არსებით შემადგენელ ნაწილად.
- 3) პერსონალის ფუნქციონალური მოვალეობების/სამუშაო აღწერილობის შემუშავებასა და ცვლილებას უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მენეჯერი, პროცესში ბუსსს ანრის პერსონალის და დირექტორის აქტიური ჩართულობით.
- 4) კონკრეტული პოზიციების ფუნქცია-მოვალეობებში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი ცვლილების ასახვის მიზნით და პერიოდული ანალიზის საფუძველზე, ადამიანური რესურსების მენეჯერი ახორციელებს პერსონალის სამუშაო აღწერილობის განახლებას.

6. პერსონალის მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება, განვითარება

6.1 ზოგადი დებულება



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება Personnel Management Regulation

- 1) ბუსსს ანრის დირექტორი პასუხისმგებელია მის მიერ მიღებული პერსონალის მომზადებაზე, პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის განვითარებაზე. ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორის და სასწავლებლის საქმიანობაში ჩართული სხვა პირების პროფესიული განვითარებისათვის იყენებს შემდეგ მექანიზმებს: პროფესიული განვითარების ტრენინგები, საკონსულტაციო შეხვედრები, მასტერკლასები და სხვ.; ხელს უწყობს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში და სხვადასხვა სამთავრობო/ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სასწავლებელთან თანამშრომლობით დაგეგმილ ტრენინგებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას; გამოყოფს ფინანსურ რესურსს ტრენინგებზე/ კონფერენციებზე და სხვა აქტივობებზე მონაწილეობის მიზნით.
- 2) ადამიანური რესურსების მენეჯერის წარდგინებით ბუსსს ანრის დირექტორის მიერ მტკიცდება პერსონალის მომზადების, პროფესიული განვითარების, გეგმა (იხ. **დანართი 12** განვითარების გეგმა), ასევე ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის და ადამიანური რესურსების მენეჯერი მოთხოვნის საფუძველზე ტარდება ტექნიკური სწავლება თითოეული თანამშრომლისთვის ან ჯგუფისთვის. საჭიროებისამებრ ადამიანური რესურსების მენეჯერი შეიმუშავებს ადმინისტრაციული, ტექნიკური პერსონალის, ინსტრუქტორისა და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის ტექნიკური სწავლების ჩატარების გეგმა-გრაფიკს, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი და რომლის შესაბამისად ტარდება ტექნიკური სწავლებები (იხ. **დანართი 6**):
 - ✓ ბუსსს ანრის შიდა ნორმატიული დოკუმენტაციის (შიდა რეგულაციები) შესწავლის მიზნით;
 - ✓ შეუსაბამობის გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით;
 - ✓ ბუსსს ანრის მომსახურების მიმწოდებელი პერსონალის მიერ შეცდომების თავიდან აცილების მიზნით;
 - ✓ ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტებში ცვლილებების გაცნობის მიზნით;
 - ✓ ახალი სასწავლო პროგრამების, საწვრთნელი კურსების, საწვრთნელი დანადგარების ამოქმედების მიზნით;
 - ✓ პერსონალის კვალიფიკაცია კომპეტენციიდან გამომდინარე და შიდა კვლევების (პერსონალის კმაყოფილების კვლევა, პერსონალის საჭიროების კვლევა) საფუძველზე გამოვლენილი პერსონალის განვითარების მიზნით

6.2 პერსონალის სტაჟირება

6.2.1 ზოგადი დებულებები

- 1) პოზიციაზე უშუალოდ დასაქმებამდე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული დონის ამაღლების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება Personnel Management Regulation

სრულყოფის მიზნით, უშუალო დასაქმებამდე დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისთვის ბუსსს ანრი დასაქმებულს სპეციალისტებს უქმნის საჭირო პირობებს.

2) შპს ბუსსს ანრის პერსონალის სტაჟირების ორგანიზება ხდება:

- ✓ ახალი თანამშრომლის მიღებისას
- ✓ სხვა თანამდებობაზე გადაყვანისას

3) გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) სტაჟირება – ბუსსს ანრიში ამ დებულებით რეგულირებადი საქმიანობა
- ბ) სტაჟიორი – პირი, რომელიც ამ დებულების საფუძველზე გადის სტაჟირებას;
- გ) კანდიდატი – პირი, რომელსაც ამ დებულების შესაბამისად ბუსსს ანრიში შემოტანილი აქვს განცხადება დასაქმების შესახებ.

6.2.2 სტაჟიორის სტატუსი

1) სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც უმაღლესი ასევე პროფესიული განათლების მქონე პირი ან სტუდენტი.

6.2.3 წარმოსადგენი საბუთები

- 1) სტაჟიორად მიღებაზე ბუსსს ანრის დირექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას, რომლითაც განისაზღვება სტაჟირების ვადა და ინიშნება სტაჟირების ხელმძღვანელი;
- 2) ანაზღაურების გარეშე სტაჟირების ვადა არ აღემატება 6 თვეს, ხოლო ანაზღაურებადი სტაჟირების ვადა – 1 წელს.
- 3) სტაჟირების გავლის მტკიცებულებას წარმოადგენს სტაჟირების ფურცელი, რომელიც იწაფება თანამშრომლის პირად საქმეში.
- 4) სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში სტაჟიორი ინიშნება განსაზღვრულ თანამდებობაზე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სტაჟირების არ/ვერ გავლის შემთხვევაში, დირექტორის ბრძანებით, სტაჟიორი ან არ ინიშნება თანამდებობაზე ან უგრძობდება სტაჟირების ვადა.
- 5) ადამიანური რესურსების მენეჯერი კანდიდატს წინასწარ აცნობს სტაჟირების პირობებს.

6.2.4 სტაჟიორის უფლებები

1) სტაჟიორს უფლება აქვს:

- ა) გაეცნოს ბუსსს ანრიში შემოსულ დოკუმენტებს, ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ბიბლიოთეკით, ელექტრონული საშუალებებით და სხვა), თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- ბ) სტაჟირების ხელმძღვანელის თანხმობით დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს ბუსსს ანრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს და თათბირებს;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation**

- გ) გაეცნოს ბუსსს ანრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მუშაობის სპეციფიკას, იმ საკითხების მომზადებასა და სათანადო დოკუმენტების შედგენას, რომელიც მოცემულ სფეროს მიეკუთვნება და გამოიყენებს თავის კვალიფიციურ ცოდნას დაკისრებული დავალებების შესრულებისას.
- 2) სტაჟიორი ბუსსს ანრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მითითებით და სტაჟირების ხელმძღვანელის მეთვალყურეობით ასრულებს ამ ერთეულის საქმიანობასთან დაკავშირებულ ცალკეულ დავალებებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 3) სტაჟიორს უფლება აქვს თხოვნით მიმართოს ბუსსს ანრის დირექტორს ერთი სტრუქტურული ერთეულიდან მეორეში გადაყვანის თაობაზე (ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში). ბუსსს ანრის დირექტორი სტაჟიორის მოსწრებისა და ცოდნის დონის და საკვალიფიკაციო მოთხოვნის, აგრეთვე ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სტაჟიორის გადაყვანის შესახებ, თუ ის აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

6.2.5 სტაჟიორის მოვალეობები

- 1) სტაჟიორი ვალდებულია:
- ა) გაეცნოს და იხელმძღვანელოს ბუსსს ანრის ნორმატიული აქტებით, იგი ასევე ვალდებულია დაიცვას შინაგანაწესი და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმები;
 - ბ) დადგენილ ვადებში შეასრულოს სტაჟირების ხელმძღვანელის და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ მიცემული დავალებები;
 - გ) მაქსიმალურად გამოიყენოს სტაჟირების ვადა ბუსსს ანრის საქმიანობის სპეციფიკის გასაცნობად, პროფესიული ჩვევების დასაუფლებლად და პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად;
 - დ) არ გაამჟღავნოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობების შესრულებისას.
- 2) სტაჟირების პროცესში სტაჟიორზე ვრცელდება ბუსსს ანრის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები.

6.2.6 ბუსსს ანრის და სტაჟირების ხელმძღვანელის მოვალეობები

ბუსსს ანრი ვალდებულია:

- 1) სტაჟიორს შეუქმნას სათანადო პირობები პროფესიული უნარ-ჩვევების, პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად.
- 2) დაუნიშნოს სტაჟიორს ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს სტაჟირების გავლის პროცესს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება Personnel Management Regulation

ხელმძღვანელი ვალდებულია:

- 1) სტაჟიორს მისცეს მიმართულება და კონკრეტულად განუსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს ვადა, მიაწოდოს მას აღნიშნულთან დაკავშირებით დროული და სწორი მითითებები.
- 2) პერიოდულად მიაწოდოს სტაჟიორს სასწავლო თემატიკა, მისცეს დავალებები და გააკონტროლებინოს მათი შესრულების მდგომარეობა. სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ მოხსენოს დირექტორს სტაჟიორის მიერ გავლილი სტაჟირების შესახებ.

6.2.7 სტაჟირების გავლის სხვა პირობები

სტაჟირების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

- ა) სტაჟირების პერიოდში არასაპატიო მიზეზით 5 დღის განმავლობაში გამოუცხადებლობა;
- ბ) დავალებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
- გ) სტაჟიორის პირადი განცხადება.

6.3 ბუსსს ანრის პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნება და ამაღლება

- 1) ბუსსს ანრის პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნება და ამაღლება ხორციელდება ტექნიკური სწავლებით (მეცადინეობით), რომლებიც შეიძლება იყოს დაგეგმილი (დამკვიცხვებელი გეგმის საფუძველზე) და დაუგეგმავი, თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა კურსებზე გაგზავნით, ასევე პერსონალის თვითმომზადებით.
- 2) თვითმომზადება გულისხმობს პერსონალის თავისით გაცნობას შპს ბუსსს ანრის ნორმატიულ დოკუმენტაციასთან (ხმს სახელმძღვანელო, პროცედურები, დებულებები, ინსტრუქციები, ბრძანებები, საკანონმდებლო აქტები, და ა.შ.)
- 3) პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, ტრენინგებზე, მასტერკლასებზე გაგზავნა, რომლებიც შეიძლება იყოს დაგეგმილი (დამკვიცხვებელი გეგმის საფუძველზე) და დაუგეგმავი, დირექტორის განკარგულებით.

7. ბუსსს ანრის თანამშრომლების პირადი საქმეების მართვა

- 1) ბუსსს ანრის თანამშრომლებზე შექმნილია პირადი საქმეები, თითოეული პირადი საქმე უნდა შეიცავდეს:
 - 1) რეზიუმე/CV;
 - 2) თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
 - 3) სამსახურში მიღების დამადასტურებელი ან ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადასვლის დოკუმენტი;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation**

- 4) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი (დიპლომი, დამატებითი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები და ა.შ.); უცხო ენაზე გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს აღიარებული საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად. ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ (მოთხოვნისამებრ);
- 5) შრომითი ხელშეკრულება;
- 6) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ;
- 7) უფლების ჩამორთმევის შესახებ;
- 8) თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გამოყენებაზე;
- 9) უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარების დამადასტურებელი ცნობა;
- 10) პერსონალური კომპიუტერის ცოდნის შემოწმების დამადასტურებელი ფურცელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 11) სტაჟირების ფურცელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 12) ატესტაციის ფურცელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 13) თანამშრომელთან დაკავშირებული სხვადასხვა ბრძანების ასლი;
- 14) შეფასებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

- 2) პირად საქმეში ჩაკრული დოკუმენტები უნდა იყოს დალაგებული ქრონოლოგიურად.
- 3) პირადი საქმის გახსნაზე, სავალდებულო საბუთების შეგროვებაზე, პერიოდულ გადახედვაზე (არა ნაკლებ 6 თვეში ერთხელ), აქტუალიზაციაზე და შენახვაზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მენეჯერი.
- 4) ყოველი თანამშრომლის პირადი საქმე ინახება ცალკეულ სწრაფჩამკერში ან ბაინდერში.
- 5) თანამშრომელთა პირადი საქმე კონფიდენციალურია და მის შენახვა/დაცვას უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მენეჯერი. დირექტორის ბრძანებით შესაძლებელია განისაზღვროს საჭიროების გათვალისწინებით სხვა დოკუმენტი.

8. ბუქსს ანრის თანამშრომლის საორიენტაციო პროგრამა

8.1 ახალი თანამშრომლის საორიენტაციო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს:

- 1) სასწავლებლის საზოგადოებისათვის ახალი თანამშრომლის წარდგენა;
- 2) ახალი თანამშრომლისათვის სასწავლებლის მისიის, სტრატეგიული გეგმის, შინაგანაწესისა და ქცევის კოდექსის გაცნობა;
- 3) ახალი თანამშრომლისათვის სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სხვა რესურსების გაცნობა;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation

- 4) სასწავლებელში დადგენილი სტანდარტების გაცნობა და საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა;
- 5) სასწავლებლის რეგულაციების თაობაზე ზეპირი და ელექტრონული ფოსტით ინფორმაციის მიწოდება.
- 6) კადრის აყვანიდან პირველი ექვსი კვირის განმავლობაში უშუალო ხელმძღვანელი, აგრეთვე პერსონალის მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელი რეგულარულად ახდენენ ახალ თანამშრომელთან შეხვედრას და მასთან ერთად განიხილავენ მუშაობის საწყის ეტაპზე წამოჭრილ პრობლემებს, აგრეთვე მათი გადაჭრის გზებს, ახალ სამუშაო გარემოში მისი სრულფასოვანი ადაპტაციის მიზნით.

8.2 ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების შემდეგ, ადამიანური რესურსების მენეჯერი ატარებს საორიენტაციო შეხვედრას და აწესრიგებს შემდეგ საკითხებს:

- დეტალურად უხსნის კადრს ფუნქცია-მოვალეობებს აღნიშნულ პოზიციასთან მიმართებით;
- აცნობს გამოსაცდელი ვადის ან სტაჟირების არსს და მნიშვნელობას;
- აწვდის ინფორმაციას ანაზღაურების, სამსახურეობრივი ბენეფიტების და სამომავლო პროფესიული პერსპექტივების შესახებ;
- უზრუნველყოფს სამუშაო სივრცით, საჭირო ინვენტარით და საოფისე ატრიბუტიკით (მაგიდა, საოფისე სავარძელი, კომპიუტერი, პრინტერი და სხვა საჭირო მასალა);
- აცნობს ბუსსს ანრის კორპორაციულ კულტურას, მისიას, ხედვას და ბუსსს ანრის საქმიანობის უმთავრეს ღირებულებებს;
- აწვდის ინფორმაციას ბუსსს ანრიში დადგენილი სტანდარტების და აკრძალვების შესახებ;
- ზეპირად, შეხვედრის ფორმატში ან ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნით განიხილავს შრომის და ამავდროულად, მასში შემავალ ძირითად საკითხებს (შვებულებით და მივლინებით სარგებლობის წესი, გაცდენებთან და დაგვიანებებთან დაკავშირებული რეგულაციები და აშ);
- აცნობს ეთიკის და ქცევის ნორმებს;
- უხსნის პირადი საქმისშევსების სპეციფიკას და მნიშვნელობას და ა.შ.

8.3 ბუსსს ანრიში მიღებულ ახალ თანამშრომელს კითხვა-პასუხის რეჟიმში, შესაძლებლობა აქვს დამატებით დააზუსტოს საკითხები, თუ ამის საჭიროება ექნება.

საორიენტაციო პროგრამის ბოლოს, ახალი თანამშრომელი ხელმოწერით ადასტურებენ დასწრებას და ინფორმაციის მიღებას შესაბამისი ფორმის მიხედვით (**დანართი 11**).

მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, საორიენტაციო შეხვედრა იმართება სასწავლო, საწვრთნელი პროცესების დაწყებამდე, სადაც ეცნობება ბუსსს ანრიში მოქმედი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება Personnel Management Regulation

რეგულაციები და პირობები, მსგავსად ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისა, მათაც ეგზავნებათ აღნიშნული ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან ეცნობა ზეპირად, შეხვედრაზე. შეხვედრის შემდგომ ხდება დასწრების ოქმის შედგენა (დანართი 11).

9. ბუსსს ანრის პერსონალის შეფასების მექანიზმები

- 9.1** ბუსსს ანრის პერსონალის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს სასწავლებლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც საშუალებას მისცემს ბუსსს ანრიში დასაქმებულ ყველა პირს, საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები ეფექტურად განახორციელოს.
- 9.2** ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზანია, ხელი შეუწყოს სასწავლებლის თითოეულ დასაქმებულს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში. ერთი მხრივ, ის საშუალებას აძლევს სასწავლებლის პერსონალს, შეიმუშაოს სასწავლებლის სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები. მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფს სასწავლებლის ხელმძღვანელობის მიერ დასაქმებულის საქმიანობის რეგულარულ შეფასებას.
- 9.3** ბუსსს ანრის პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა ემყარება შემდეგ მიზნებს:
- მოახდინოს ბუსსს ანრის პერსონალის საჭიროებების, სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და მოახდინოს მათი გამოსწორების ზეზის დასახვა;
 - გამოავლინოს ბუსსს ანრის პერსონალის შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებას;
 - განსაზღვროს სასწავლებლის თანამშრომლების მიერ დასახული და სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები;
 - შეაფასოს ბუსსს ანრის პერსონალის საქმიანობა სწავლების და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში;
 - დროულად მოახდინოს პოტენციური/არსებული სირთულეების იდენტიფიცირება ბუსსს ანრის პერსონალის მიერ პროფესიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების პროცესში და დასახოს მისი მოგვარების გზები;
 - შეაფასოს სასწავლებლის პერსონალის საქმიანობა სწავლების, წვრთნისა და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში;
 - ბუსსს ანრის მიზნებიდან და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, მოხდეს კვალიფიცირებული პერსონალის საჭიროების გამოვლენა.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

პერსონალის მართვის დებულება
Personnel Management Regulation

- 9.4** ამ მიზნების განხორციელებისათვის სასწავლებელმა უნდა შეიმუშაოს საქმიანობის შეფასების პოლიტიკა და პროცედურები როგორც მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორის, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის.
- 9.5** სასწავლებლის პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმები ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:
- ✓ **სამართლიანობა** - სასწავლებლის ხელმძღვანელობა ვალდებულია, უზრუნველყოს შეფასების არადისკრიმინაციულობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
 - ✓ **თანაბარი შესაძლებლობები** - სასწავლებლის ყველა დასაქმებულს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბების, მათი განხორციელებისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში. დაუშვებელია პირის დისკრიმინაცია ასაკის, სქესის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების, რელიგიისა და სხვა ნიშნების მიხედვით. სასწავლებლის დასაქმებულთა შეფასების სისტემა გამჭვირვალე და სამართლიანი უნდა იყოს, თუმცა ამავე დროს აუცილებელია პიროვნების კონფიდენციალურობის დაცვა და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპის პატივისცემა;
 - ✓ **მაღალი სტანდარტები** - შეფასების სისტემის პირველი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა სასწავლებლის საგანმანათლებლო მომსახურების სტანდარტების ამაღლების ხელშეწყობაა;
 - ✓ **პროფესიული განვითარება** - სასწავლებლის დასაქმებულთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლის, საწვრთნელი კურსის ინსტრუქტორის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინდივიდუალური განვითარების მოთხოვნილებების გათვალისწინება;
 - ✓ **მონაწილეობა** - სასწავლებლის ყველა დასაქმებული უნდა იყოს ჩართული შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში.
- 9.6** პერსონალის შეფასების მიზანია სასწავლო და სამუშაო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისა და თანამშრომლების პერსონალური განვითარების მიზნისთვის გამორკვეული იქნეს პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასდეს პერსონალისთვის აკადემიის მიერ შეთავაზებული სერვისების ეფექტიანობა.
